## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდა და განათლება | განათლება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 34 154 200 | 43 990 700 | 35 557 500 | 39 127 600 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა |
| პროგრამის აღწერა | სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.<br>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.<br>„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.<br>ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა ადა განათლების დაწესებულებები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების  განვითარებისათვის  ასევე მნივენელოვანია ამ მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელება, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა - გაზიარება, ქართულ და უცხოურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ასევე, აღმზრდელთა დაფასება და სტიმულირება.<br>არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.<br>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამები:<br>1. ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;<br>2. საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია; |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო  შედეგი | ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა | 8 280 | 9 015 | 9 960 | 10 905 | 11 850 | 10% -' შესაძლო დასაშვები მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | შესაბამისი სტანდარტის მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა | 30 | 33 | 36 | 39 | 42 | 10% - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულება |
| 3 | მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის მსურველ მოქალაქეთა დაუკმაყოფილებელი განაცხადების რაოდენობის კლების<br>% მაჩვენებელი საბაზო მაჩვენებელთან შედარებით | 10% | 7% | 5% | 2% | 2% | 2% - საბავშვო ბაღების მშენებლობის შეჩერება |
| 4 | ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით რეაბილიტირებულია მუნიციპალური საბავშვო ბაღები (არაუმეტეს) | 5 | 8 | - | - | - | 10% - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულება |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 04 01 01 | ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება | სკოლამდელი აღზრდა და განათლება |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 24 592 900 | 27 809 300 | 31 057 500 | 34 627 600 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის აღწერა | სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.<br>საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების სათამაშოებით, ავეჯითა და საკანცელარიო ნივთებით,  სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტებით უზრუნველყოფა.<br>ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან მაქსიმალურად მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტებით და დაცულია კანონმდებლობით დადგენილი კვების რაციონი.<br>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ფარგლებში დაგეგმილია საბაშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების (სახურავების შეკეთება, სარდაფების მოწესრიგება, შიდა კოსმეტიკური სამუშაოები და ა.შ.) ჩატარება, ასევე საბავშვო ბაღების ელექტროტექნიკით, თეთრეულით, ჭურჭლით, ავეჯით და პირადი ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფა.<br>2023 წელს ექსპლუატაციაში შევა სამი ახალი 9 ჯგუფიანი საბავშვო ბაღი და ქალაქში იფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების 36 მუნიციპალური დაწესებულება, რაც შეადგენს 259 სააღზმრდელო ჯგუფს და მოემსახურება 9015 აღსაზრდელს. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების  დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა | 8 280 | 9 015 | 10% - მომართვიანობის ცვლილება |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და რეგულაციებს | 30 | 33 | 10% - მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **მართვა-ადმინისტრირება** | | | | **17 940 000** | **17 940 000** | |
| | შრომის ანაზღაურება | პირი | 1 482 | 10 345 | 15 331 300 | 15 331 300 | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 20 | 4 715 | 94 300 | 94 300 | |
| | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, (სხვა ხარჯები) | შენობა-ნაგებობა | 36 | 69 844 | 2 514 400 | 2 514 400 | |
| 2 | **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა** | **აღსაზრდელი** | **9 015** | **511** | **4 610 000** | **4 610 000** | |
| 3 | **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება** | **საბავშვო ბაღი** | **36** | **56 747** | **2 042 900** | **2 042 900** | |
| | სათამაშოები | | | | 150 000 | 150 000 | |
| | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენა | | | | 180 000 | 180 000 | |
| | ჭურჭელი | | | | 275 000 | 275 000 | |
| | ავეჯი | | | | 480 000 | 480 000 | |
| | ელექტრო ტექნიკის შეძენა | | | | 187 900 | 187 900 | |
| | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები | | | | 714 000 | 714 000 | |
| | ცენტრალურ გათბობასთან დაკავშირებული დანადგარების შესყიდვა | | | | 20 000 | 20 000 | |
| | სახელმძღვანელო წიგნები | | | | 36 000 | 36 000 | |
| | სულ ქვეპროგრამა | | | | **24 592 900** | **24 592 900** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 04 01 02<br>04 01 03 | საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია | სკოლამდელი აღზრდა და განათლება |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური;<br>ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 561 300 | 16 181 400 | 4 500 000 | 4 500 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;<br>ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა მუნიციპალურ შენობებში |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქალაქის განვითარებასთან ერთად მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. ესთეტიკური და მიმზიდველი გარემოს შექმნა ქართულ საბავშვო-საგანმანათლებლო სივრცეს კიდევ უფრო დაახლოებს თანამედროვე ევროპულ-საგანმანათლებლო სივრცესთან. ქვეპროგრამის განხორციელება საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელს გახდის სახელმწიფოებრივ ზრუნვას მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეექმნებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის სათანადო პირობები.<br>საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობით მიმდინარეობს პროექტი „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის საჯარო საბავშვო ბაღების სრულ რეაბილიტაციას (ენერგოეფექტიანობა, შენობის და კომფორტის გასაუმჯობესებელი ცალკეული ღონისძიებები). პროექტს 7 522 000,00 ევროს ოდენობით გრანტის სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW). საგრანტო შეთანხმების შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტის დამატებითი საპარტნიორო თანამონაწილეობა შეადგენს 10%-ს, რაც ფარავს, მაგალითად, შერჩეული საბავშვო ბაღების ეზოების რეაბილიტაციის ხარჯებს. ამავდროულად, ბათუმის მუნიციპალიტეტი ვალდებულია თავად გადაიხადოს ყველა გადასახადი (მათ შორის დღგ), სხვა სახელმწიფო მოსაკრებელი და ბაჟი პროექტისთვის. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | კაპიტალურად რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობების რაოდენობა | _ | 5 | 20% - არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, |
| 2 | ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა (ეზო) | 1 | _ | არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა |
| 3 | განხორციელებულია სამუშაოები საბავშვო ბაღების ენერგოეფექტურად გარდაქმნის თვალსაზრისით | - | 8 | არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა |
| 4 | ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება | 4 | _ | არშემდგარი ელექტრონული ტენდერი, კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია) | ერთეული | 5 | 787 000 | 3 935 000 | 3 935 000,00 | |
| 2 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა | ერთეული | 1 | 1 300 000 | 1 300 000 | 1 300 000,00 | |
| 4 | ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა | ერთეული | 1 | 1 400 000 | 1 400 000 | 1 400 000,00 | |
| 5 | ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა | ერთეული | 1 | 1 300 000 | 1 300 000 | 1 300 000,00 | |
| 6 | ბუნებრივი აირის ქსელზე დაერთება | წერტი | 3 | 15 000 | 45 000 | 45 000,00 | |
| 7 | ელ. ენერგიის ქსელზე მიერთება | წერტი | 3 | 14 000 | 42 000 | 42 000,00 | |
| 8 | საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა | პროექტი | 4 | 9 825 | 39 300 | 39 300,00 | |
| 9 | ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KFW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება | | | | 1 500 000 | 1 500 000 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | 9 561 300 | 9 561 300 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია) მრავალწლიანი პროექტია,  სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2022-2023 წ.წ.) შეადგენს 4 896 995,59 ლარს. |
| 2 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია,  სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წ წ.) შეადგენს 5 000 000 ლარს. |
| 4 | ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია,  სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წ წ.) შეადგენს 3 500 000 ლარს. |
| 5 | ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა მრავალწლიანი პროექტია,  სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წ წ.) შეადგენს  5 000 000 ლარს. |
| 7 | საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა მრავალწლიანი პროექტია. სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2022-2023წ.წ.) შეადგენს  50 000,00 ლარს. |
| 8 | **საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია)**, რომელიც მოიცავს შემდეგ მისამართებზე სამუშაოების განხორციელებას:  გ. ტაბიძის ქ. N14, N31 საბავშვო ბაღი; მ. ვარშანიძის I ჩიხში, N33 საბავშვო ბაღი; ვაჟა-ფშაველას ქ. N83, N14 საბავშვო ბაღი; ანდრონიკაშვილის ქ. N44, N13 საბავშვო ბაღი; თამარ მეფის გამზირი I შესახვევი N4, N22 საბავშვო ბაღი. ასევე, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დამატებით შესაძლებელია საბავშვო ბაღების შენობების შესაბამისი  სამუშაოების განხორციელება, რაც დადასტურებული უნდა იყოსა  შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის (შესაბამისი კატეგორიით) დამადასტურებელი დოკუმენტით, გაცემული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ; |
| 9 | ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KFW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება მრავალწლიანი პროექტია,  სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2021-2024 წ.წ.) შეადგენს 26 790 355 ლარს. (9 628 160 ევრო) |